საქართველოს
ეროვნული პლატფორმა

აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი

გენდერული ქვეჯგუფის შეხვედრა

ოქმი

თარიღი: 2 აპრილი, 2024 წელი
დრო: 15:00 - 16:00
შეხვედრის ადგილი: **Zoom**

სხდომას ესწრებოდნენ:

1. ნინო ჩხობაძე - ეროვნული პლატფორმის თანათავმჯდომარე, საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები;
2. ლია ნადარაია - ქალთა პოლიტიკური რესურს ცენტრი
3. შორენა ლორთქიფანიძე - სამოქალაქო საბჭო თავდაცვის და უსაფრთხოების საკითხებში
4. ირინა ფუტკარაძე - საზოგადოებრივი დაცველი
5. მაკა ჯახუა - მწვანე ტალღა
6. ელენე რუსეცკი - ქალთა საინფორმაციო ცენტრი
7. ცირა მესხიშვილი - სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ასოციაცია ტოლერანტი
8. იულია ხარაშვილი - იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია ”თანხმობა”
9. ნაირა ბეპიევი - ა(ა)იპ "კავკასიური მოზაიკა"
10. ნატო ბაჩიაშვილი - გეოპოლიტიკური კვლევების საერთაშორისო ცენტრი
11. ნინო ელიზბარაშვილი - მეორე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, ასოციაცია ქალი და ბიზნესი
12. ქრისტინე კილანავა - ასოციაცია ,,იმედი,, დევნილ ქალთა მოძრაობა მშვიდობისათვის
13. ლანა ღვინჯილია - „პოპულუს რეი“
14. ტატა ბერიძე - ბუღალტერთა კავშირი
15. ნანა თოდუა - ასოციაცია "მერკური"

დღის წესრიგი

1. გენდერული კვოტის გაუქმების საკითხზე სასწრაფო რეაგირება

გენდერული ქვეჯგუფის შეხვედრა საგანგებოდ გაიმართა იმ ფაქტის გამო, რომ პარტია "გირჩის" ინიცირებით, 2024 წლის 22 მარტს, საქართველოს პარლამენტს წარედგინა საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც მიზნად ისახავს "საქართველოს საარჩევნო კოდექსში" სავალდებულო გენდერული კვოტის გაუქმებას.

ქვეჯგუფის წევრები მნიშვნელოვნად მიიჩნევენ სასწრაფო რეაგირებას აღნიშნულ ინიციატივაზე. საკითხის მიმართ მათი დამოკიდებულება ერთსულოვანია და თვლიან, რომ გენდერული ქვოტის გაუქმება შეაფერეხებს ქვეყნის წინსვლას ევროინტეგრაციის პროცესში და უკან გადადგმული ნაბიჯი იქნება თანასწორობის მიღწევისა და ქალთა გაძლიერების გზაზე. ჯგუფის წევრები ერთხმად და მტკიცედ თანხმდებიან, რომ პარტია „გირჩის" საკანონმდებლო ინიციატივა წინაღმდეგობაში მოდის, როგორც საქართველოს ამომრჩეველთა ნებასთან და საქართველოს კონსტიტუციასთან, ასევე ევროინტეგრაციის პროცესთან და საერთაშორისო ხელშეკრულებებთან. აქვე აღინიშნა, რომ ეს ინიციატივა ვრცელდება "მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ" ორგანულ კანონზეც.

ქვეჯგუფის შეხვედრაში მონაწილე ორგანიზაციების წარმომადგენლები თანხმდებიან, რომ სასწრაფოდ მომზადდება განცხადების ტექსტი, რომელიც პლატფორმის სახელით, წევრი ორგანიზაციების მხარდაჭერით, გავრცელდება და გამოქვეყნდება. ასევე, მომზადდება მიმართვა შესაბამისი კომიტეტების სახელზე.

სხდომის მდივანი:

ქეთევან ჭურაძე